სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების კალენდრების თაობაზე ბოლო წლებში მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა ცენტრალურ პრესაში. უკმაყოფილონი არიან ყველანი - მაყურებლებიც, სპეციალისტებიც, ფეხბურთელებიც, გუნდების ხელმძღვანელებიც და ერთადერთი, მხოლოდ ამ კალენდრის ავტორები არიან , ვინც აღუშფოთებელ ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებენ.

მართლაც, უკვე კარგა ხანია საფეხბურთო კალენდრის საქმე ჩვენში ვერაა რიგიანად მოწესრიგებული. უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებათა განრიგს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი და სხვა საფეხბურთო ორგანიზაციები წინასწარვე, რამდენიმე წლით ადრე ადგენენ. იქ თავიდანვე ყველაფერი გარკვეული, დადგენილი და ნათელია. წარამარა არაფერი ცვლილება, მაგრამ ჩვენში ამ საქმის მოგვარება არა და არ იქნა კალენდარში ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე არის ხოლმე აღნიშნული, რომ შესაძლოა მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები და გადაადგილებანი.

წლევანდელ გათამაშებაშიც მრავალი ასეთი „გაუთვალისწინებელი“ ცვლილება მოხდა და თვით ის მატჩიც, რომელიც განვლილ ხუთშაბათს შედგა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩვენს გუნდსა და კიევის „დინამოს“ შორის, პირველი წრის „მონარჩენია“. იგი მე-13 ტურში უნდა გამართულიყო 30 ივნისს, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებით გადაიტანეს პირველი წრიდან. აგრეთვე, ჯერ კიდევ გამოტოვებულია მატჩი ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის. ყველაფერი ეს არარიტმულს, იმპულსურს ხდის სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მსვლელობას.

ამრიგად, პირველი წრის მატჩი თანაკლუბელთა შორის:

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (კიევი) 1:1 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 8 სექტემბერი.

თბილისი: გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა (გურული, 76), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი (თედეევი, 62).

კიევი: ჩანოვი, ბესონოვი, ბალი, კუზნეცოვი, დემიანენკო (შმატოვალენკო, 79), რაცი, გორილი, ლიტოვჩენკო, იარემჩუკი, პროტასოვი, ბელანოვი.

მსაჯი ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

კიეველ ფეხბურთელთა სტუმრობა თბილისში მუდამ მნიშვნელოვანი მოვლენაა, განსაკუთრებით კი ბოლო ათეულ წლებში, როცა ამ გუნდებმა ჩვენს ფეხბურთში

უდავო ლიდერის როლი დაისაკუთრა. კიეველები უმაღლესი კლასის ფეხბურთს თამაშობენ. თბილისელ გულშემატკივრებს კი სწორედ ასეთი თამაში უყვარს და ამიტომაც ხალისით ესწრება კიეველთა მატჩებს.

გუშინწინდელი შეხვედრა თბილისელთა სწრაფი იერიშებით დაიწყო. უკვე პირველივე წუთებზე ფანცულაიამ ძლიერად დაარტყა და ჩანოვი თამაშში ჩაება. მაგრამ კიეველებმა სულ მალე გამოასწორეს მდგომარეობა და ბრძოლამაც შუა მინდორში გადაინაცვლა.

მიმდინარეობდა 21-ე წუთი, როცა ჭედია სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. იქ მას უხეშად ეთამაშა ბალი და ა. ბარიშნიკოვმა 11-მეტრიან წერტილზე მიუთითა. თბილისელებმა დარტყმა გოგიჩაიშვილს მიანდეს. ჩანოვმა წამით დააგვიანა და ანგარიშიც გაიხსნა - 1:0.

ამ გოლს კიეველმა ფეხბურთელებმა რამდენიმე შეტევით უპასუხეს. ტაიმის დასასრულს პროტასოვს, ბელანოვს მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ, 50-ე წუთზე პროტასოვმა კარგად გამოიყენა მასპინძელთა მცველების შეუთანხმებლობა და ზუსტი დარტყმით ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

მატჩის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო, მინდორზე ბევრი რამ საინტერესო შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ მეტოქეებმა დინჯი, პოზიციური, აკადემიური თამაში აირჩიეს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როცა არზიანმა და თედეევმა სახიფათოდ დაარტყეს კარში, შემდეგ მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. ამას თავისი გამართლებაც აქვს: კიევის „დინამოს“ ახლა ჩემპიონობის მოპოვების საუკეთესო პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია, ვინაიდან მისმა ძირითადმა მეტოქეებმა „დნეპრმა“ (10) და „სპარტაკმა“ (9) დაწესებულ ფრეთა ლიმიტს მიაღწიეს. კიევის გუნდს კი ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა ცალკეულ მატჩებში თითო ქულაც აიღოს. ამავე დროს, თბილისის „დინამო“ თანდათან სცილდება სახიფათო ზონას. ყოველ შემთხვევაში, ბოლოსწინა, საბედისწერო ადგილს მას 5 ქულა აშორებს. ამიტომაც ქულის აღება ორივე მხარეს აძლევდა ხელს შესაბამისად ამისა თმაში გაურთულებლად მიმდინარეობდა. რისკზე არც ერთი მხარე არ წავიდა და მატჩიც ფრედ დამთავრდა - 1:1. ეს ფრე ორივე გუნდის სატურნირო, სტრატეგიული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, თუმცა მაყურებელთა პრეტენზიებიც გასაგებია. მათ, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს“ გამარჯვება ეწადათ და, საერთოდ, დაძაბული, საინტერესო თამაშის ნახვა სურდათ.

ახლა საკავშირო ჩემპიონატში 17 სექტემბრამდე შესვენებაა. 17 სექტემბერს თბილისის „დინამო“ ვილნიუსში შეხვდება „ჟალგირისს“, ხოლო 25 სექტემბერს, 24-ე ტურში, ჩვენი გუნდი შინ მოსკოვი „ლოკომოტივს“ ეთამაშება.

ლელო 10.09.1988